ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/01046-18
"05" 06 2018 წ.

დადგენილება №003287
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

05.06.2018წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაფარიძემ განვიხილე 2018 წლის 16 იანვრის №003287 მითითება და 2018 წლის 10 აპრილის №003287 შემოწმების აქტი შედგენილი **შპს "თრიფელ ეი"-ს** (საიდენტიფიკაციო კოდი: №404523725, მის: ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. №10, ნაკვ. №38/3) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და გამოვარკვევ:

ქ. თბილისში, ქუჩა ბარნოვი, №10 (ნაკვ. №38/3), №01.15.02.038.003 საკადასტრო კოდზე, **შპს "თრიფელ ეი"-ს** მიერ მიმდინარეობს მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 2 ივლისის №1982128 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ გაუქმებულია არსებული კედლების ნაწილი. შემცირებულია ავტოსადგომის ფართი და შენობის გაბარიტი. დამატებულია კოლონები და რიგელები. გაზრდილია კოლონების გაბარიტები. ბ-ბ ღერძზე შეცვლილია კოლონების ფორმა. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონებს შორის მანძილები. დ-დ ღერძზე შეცვლილია კედლის კონფიგურაცია. შეცვლილია ლიფტისთვის განკუთვნილი მონოლითური უჯრედის ფორმა. -3.30 ნიშნული: შეცვლილია გარე კედლების კონფიგურაცია. შემცირებულია სართულის სიმაღლე. გაუქმებულია კიბეები. ა1'-ა1' ღერძზე ჭრის დიობს მონაცვლეობული აქვს მდებარეობა. ±0.00 ნიშნული: გ-გ ღერძზე კიბის უჯრედთან გაუქმებულია მონოლითური კედელი. ბ-დ მონაკვეთში გაუქმებულია მინაბლოკებისთვის განკუთვნილი დიობი.

2018 წლის 16 იანვარს, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის მიერ შედგა №003287 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 20 კალენდარული დღის ვადა, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად ან ობიექტის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2018 წლის 10 აპრილს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა №003287 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობა.

ქ. თბილისი 0160, ქ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

სამსახურში, 2018 წლის 22 მაისს გაიმართა ზეპირი განხილვის სხდომა, ზეპირი განხილვის თაობაზე სათანადო წესით ეცნობა მხარს. სხდომაზე გამოცხადდა **შპს "თრიფელ ეი"**-ს წარმომადგენელი მოქ. ირაკლი სიხარულიძე (პირადი: №26001002268), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება, მანვე აღნიშნა, რომ აპირებენ დარღვევის გამოსწორებას პროექტის კორექტირებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონში „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ში 2018 წლის 7 მარტს შესული №2051-IIს ცვლილების (სარეგისტრაციო კოდი №240110000.05.001.018779; გამოქვეყნების თარიღი 21.03.2018წ.) თანახმად, აღნიშნულ სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობა განისაზღვრება 45-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.ბ." ქვეპუნქტით და მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს საჯარიმო სანქციას 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან, სამართალდარღვევა ჩადენილია დასახელებული ცვლილებებისა და დამატებების ამოქმედებამდე, ხოლო საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს", შესაბამისად არ არსებობს გაზრდილი საჯარიმო თანხის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

საქმეშია, სამსახურის სპეციალისტის 2018 წლის 5 ივნისის მოხსენებითი ბარათი, რომლითაც ირკვევა, რომ **შპს "თრიფელ ეი"**-ს მიერ არ შესრულდა №003287 მითითებით განსაზღვრული პირობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **შპს "თრიფელ ეი"**-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სახებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) I-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №72, №01.14.03.014.002 საკადასტრო კოდზე აშენებულია მრავალფუნქციური შენობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 2 ივლისის №1982128 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის I-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის I-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. **შპს "თრიფელ ეი"** დაჯარიმდეს 3 000 (სამი ათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. **შპს "თრიფელ ეი"**-ს დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის I-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში; საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი:**

TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო **კოდი: 300773263**, **გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შპს "თრიფელ ეი"-ს** დაეკალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", .ხოლო საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დამრღვევს დაერიცხება საურავი დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევი განემარტოთ, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (სამარეებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილე

მამუკა ჯაყელი

გადახდო დავალება
Payment Order

1530686370

თარიღი / Date 04/07/2018

ს.ს. "თიბისი ბანკი"

გადამხდელი / Sender

შპს თრიფელ ეი

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE58TB7409736080100002

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

ს.ს. თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code TBCBGE22

თანხა / Amount

3,000.00 GEL

თანხა სიტყვიერად
Amount in words

სამი ათასი ლარი და 00 თეთრი

საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე
Tax Payment - Information About Tax Payer

დასახელება / Name

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code

მიმღები / Receiver

მიმღების ანგარიში / ხაზინის კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300773263

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ბანკის კოდი / Bank Code TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი ხანძრებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურული - სამშენებლო საგმანობამი გამოკლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

ბანკის საკომისიო / Bank commission

2.10 GEL

სტატუსი / Status

დასრულებული

შემქმნელი / Created by

ნინო სიხარულიძე

შემმოწმებელი / Checked by

მავტორიზებელი / Signed by

ნინო სიხარულიძე

ხელმოწერა
signature

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01191364562**
თარიღი: **16/05/2019**
პინი: **5247**

ადრესატი: შპს თრიფელ ეი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404523725
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ბარნოვის ქ., №10, ნაკვ. №38/3

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური") განიხილა თქვენი 2019 წლის 30 აპრილის #10/0119120771-01 განცხადება, რომლითაც ითხოვთ შპს „თრიფელ ეის" საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ბარნოვის ქ.10; ს.კ.:01.15.02.038.003) (სზ-5) დამატებით რამდენიმე მწვანე ნარგავის მოჭრას/გადარგვას და გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან სამსახურმა 2019 წლის 15 იანვრის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (N18-01190152990) დააფიქსირა პოზიცია, თქვენს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ბარნოვის ქ.10) მდგომი მწვანე ნარგავების მოჭრის/გადარგვის და სსვლა-ფორმირების სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით, ამდენად, სამსახური განმეორებით ვერ იმსჯელებს მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვის საკითხზე.

ასევე მოგახსენებთ, რომ მწვანე ნარგავების დაზიანების შემთხვევაში, შესაბამისი პირის მიმართ გატარდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიება.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია MSDA-086 405026877 ადგილობრივი თვითმმართველობა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01190152990**
თარიღი: **15/01/2019**
პინი: **4448**

ადრესატი: შპს თრიფელ ეი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404523725

გადააამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული როგორც „სამსახური") განიხილა თქვენი 2018 წლის 24 დეკემბრის #10/01183581780-18 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (მანანა ელბაქიძის 2018 წლის 21 დეკემბრის მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა, ფოტო-მასალა), რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ბარნოვის ქ.10-ში შპს „თრიფელ ეი"-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ს.კ.:01.15.02.038.003) (სზ-5), ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარების მიზნით, მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვის ნებართვის საკითხთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება") 21-ე მუხლის შესაბამისად და განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, ვინაიდან N2 ბიოტა აღმოსავლეთის - 12სმ, N7 რობინია ცრუაკაცია (მრავალფეროვანია) – 8 -11სმ, N17 ჩვეულებრივი იასამანი (ამონაყარი) -2-5სმ, სულ - 3 (სამი) ერთეული ხე-მცენარე, რომელთა დიამეტრი არ აღემატება 12 სმ-ს და ალბათობა იმისა, რომ მათი გადარგვის შემთხვევაში ისინი გაიხარებენ არის საკმაოდ მაღალი, ასევე იმ გარემოების გათვალისწინებთ, რომ მოცემული მწვანე ნარგავები განთავსებულია საპროექტო ტერიტორიაზე (აღნიშნული დასტურდება სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის N3113557 ბრძანებით), სამსახური თანახმაა გასცეს აღნიშნული 5 (ხუთი) ერთეული მცენარის გადარგვის ნებართვა იმავე საკადასტრო ერთეულში (ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. 10-ში შპს „თრიფელ ეი"-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, ს.კ.:01.15.02.038.003).

აქვე გაცნობებთ, რომ მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით. ნებართვის მიმღები ვალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში, მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ. ნებართვის მიმღებმა გადარგვის შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ უნდა წარმოადგინოს გადარგული ხე-მცენარეების მდგომარეობის ანგარიში და შესაბამისი ფოტო მასალა.

გადარგული მწვანე ნარგავების 3 წლის ვადაში გახმობის შემთხვევაში ნებართვის მიმღებს დაეკისრება ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის-საკომპენსაციო რგვის განხორციელების ვალდებულება.

თქვენს მიერ მოთხოვნილი 7 (შვიდი) ძირი ხე-მცენარის (N1ბიოტა აღმოსავლეთის-18სმ, N3 რობინია,ცრუაკაცია-49სმ, N4რობინია, ცრუკაცია-15სმ, N5რობინია,ცრუაკაცია(ორფეროინია)-29-22სმ, N6რობინია,ცრუაკაცია-26სმ, N10რობინია,ცრუაკაცია-25სმ, N11 კავკასიური (სამხრეთული)აკაკი-25სმ) მოჭრა/გადარგვასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ მოცემული ხეები არიან მრავალწლოვანი მცენარეები, რომლებიც დადებით გავლენას ახდენენ

ბიოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებასა და გარემოს გაჯანსაღებაში. ასევე, საექსპერტო დასკვნის შესაბამისად მათი ზოგადი მდგომარეობა (ღერო ძლიერ გადახრილი, დეფორმირებული) და ექსპერტის გაცემული რეკომენდაცია არ იძლევა გადარგვის შესაძლებლობას, იმის გათვალისწინებით, რომ ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები განხორციელდეს, დადგენილების 20 [1]-ე მუხლისა და დანართი #4-ის (ხეების მოვლისა და სხვლა-ფორმირების წესი) მოთხოვნათა შესაბამისად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე სხვლა-ფორმირება უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 7 (შვიდი) ძირ ხე-მცენარეს: N1 ბიოტა აღმოსავლეთის-18სმ, N3 რობინია, ცრუაკაცია-49სმ, N4 რობინია, ცრუკაცია-15სმ, N5 რობინია, ცრუაკაცია (ორღეროინია)-29-22სმ, N6რობინია, ცრუაკაცია-26სმ, N10რობინია, ცრუაკაცია-25სმ, N11 კავკასიური (სამხრეთული) აკაკი-25სმ ჩაუტარდეს სხვლა-ფორმირება.

ამასთან, გაცნობებთ, რომ მწვანე ნარგავის დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში განმცხადებელს დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

გაცნობებთ, რომ „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის, მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტის საფუძველზე, ასევე საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, ვინაიდან N13 რობინია, ცრუაკაცია - 45სმ (ფესვებგაშიშვლებული, ხმობადი, ღერო გადაჭილი 2 მეტრზე) და N15 თეთრი თუთა - 5-50სმ (გადაბერებული, მრავალღეროიანი, ერთი მხრიდან ფესვებგაშიშვლებული და ავარიული), სულ 2 ძირი მწვანე ნარგავი არის ავარიული და ხმობადი, სამსახური თანახმაა გასცეს მათი მოჭრის ნებართვას მას შემდეგ, რაც დადგენილების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად წარმოადგენთ საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვისა და მომსახურების თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას (ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს შეძენილი მცენარის სახეობა, ზომა და შემდგომში სამ წლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება).

საკომპენსაციო რგვის ფარგლებში 2 (ორი) ძირი არანაკლებ 3,5 მ სიმაღლის (გარშემოწერილობა არანაკლებ 20 სმ) ფოთლოვანი ნერგის დარგვა. იმავე ტერიტორიაზე. საკომპენსაციო რგვის ვალდებულება მოიცავს, როგორც ნერგების დარგვას, ასევე მათ შემდგომ მოვლა-პატრონობას დარგვიდან სამი წლის განმავლობაში.

დარგული მწვანე ნარგავების 3 წლის ვადაში გახმობის შემთხვევაში ნებართვის მიმღებს დაეკისრება ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის-საკომპენსაციო რგვის განხორციელების ვალდებულება.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმონერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალური სტრუქტურების საქმეთა მართვის სამსახური
ქ. თბილისის
მუნიციპალიტეტის
მერია
MSDA-080
405026877